საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო

ბრძანება № NHA 3 23 00112412

ქ. თბილისი 01/02/2023 წელი

C O V I D - 1 9 სამკურნალო მედიკამენტის „პაქსლოვიდის“ გამცემი დაწესებულებების მიერ მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ფორმატისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 54-ე მუხლების, ,,COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის'' განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 28 დეკემბრის №MOH 9 22 00000230 ბრძანების (შემდგომში-მინისტრის ბრძანება) მე-3 პუნქტის „ა.გ“, „ბ“ „გ“ და "დ" ქვეპუნქტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 30 იანვრის №MOH 323 00099190 წერილის, სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 აგვისტოს №01-91/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს დებულების მე–4 მუხლის “ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტის ,,პაქსლოვიდის'' (შემდგომში-მედიკამენტი) გამცემი დაწესებულებები განსაზღვრულია მინისტრის ბრძანების მე-2 პუნქტის „გ.ა“ და „გ.ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

2. მინისტრის ბრძანების მე-2 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა დაწესებულებებმა, მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებისათვის (შემდგომში-სჯდ ცენტრი) მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიშის წარდგენა უზრუნველყონ ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 5 რიცხვისა, წინამდებარე ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.

3. სჯდ ცენტრებმა სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრისათვის (შემდგომში-ეროვნული ცენტრი), უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართების და უშუალოდ მათ მიერ ბენეფიციარებზე გაცემული მედიკამენტის ხარჯვის ამსახველი ფორმის (დანართი N2) შესახებ ანგარიშის ყოველთვიური წარდგენა,

საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა.

4. ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყოს სსიპ-ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) წინამდებარე ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით დამტკიცებული N1 და N2 დანართების ყოველთვიური წარდგენა, საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა.

5. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ორგანიზაციული უზრუნველყოფის, მონიტორინგის, სამკურნალო და სამედიცინო საშუალებების ადმინისტრირების დეპარტამენტს (თ.აზალაძე):
ა.ა) უზრუნველყოს ეროვნული ცენტრის ინფორმირება წინამდებარე ბრძანების შესახებ;

ა.ბ) ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი;

ბ) სააგენტოს ადმინისტაციულ დეპარტამენტს (მ. ქვარაია), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (nha.gov.ge).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თენგიზ გენძეხაძე